პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 4
(4254)

1971 წ.
7 იანვარი,
ხუთშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

საუბარი უფროს მწვრთნელთან

„ლელოს" ინტერვიუ

ახლოვდება 1971 წლის საფეხბურთო სეზონი. თბილისის „დინამოს" ოსტატი ფეხბურთელები უკვე შეუდგნენ სამზადისს და დაიწყეს წვრთნა. ჩვენი გაზეთის წარმომადგენელი ეწვია გუნდის ახალ უფროს მწვრთნელს, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატსა და დამსახურებულ მწვრთნელს გავრიილ დიმიტრის ძე კაჩალინს და ესაუბრა მას. ვფიქრობთ, ეს ინტერვიუ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ფეხბურთის მოყვარულთათვის.

● **გვითხარით, როდის მოხდა თქვენი პირველი უშუალო კონტაქტი ქართულ ფეხბურთთან?**

— ეს იყო დიდი ხნის წინ. 1935 წელს მოსკოვის „დინამო" ჩამოვიდა თბილისში და აქ, ლენინის სახელობის სტადიონზე, ამხანაგურ მატჩში შეხვდა თბილისელ თანაკლუბელებს (მაშინ თბილისელთა მწვრთნელი იყო ლენინგრადელი სპეციალისტი მ. ბუტუსოვი). შემდეგ, 1937 წელს, ორჯერ მომიწია თამაში უკვე ოფიციალურ მატჩებში თბილისელებთან. ორივე მატჩი შედგა მოსკოვში — ჯერ საკავშირო ჩემპიონატში, ხოლო შემდეგ თასის ფინალში. განსაკუთრებით დამამახსოვრდა თასის ფინალური მატჩი, რომელიც მოსკოველებმა მოიგეს ანგარიშით 5:2. მაშინ თამაში მომიხდა თბილისელთა მრისხანე გარემარბის თენგიზ გავაშელის წინააღმდეგ. იმ დროს თბილისის „დინამოში" გამოდიოდა პირველხარისხოვან ფეხბურთელთა მთელი პლეადა. არა მარტო მათთან თამაშში, არამედ მაყურებლის როლში ცქერაც ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. დავასახელებ ბ. პაიჭაძეს, გ. ჯეჯელავას, თ. გავაშელს, შ. შავგულიძეს, ა. დოროხოვს. ძალიან მომწონდა მიშა ბერძენიშვილის თამაში. ვიმეორებ, ეს იყო ბრწყინვალე ფეხბურთელთა მთელი პლეადა.

● **თქვენი მიღწევები მინდორზე გამოსვლის პერიოდში?**

— 1937 და 40 წლებში ვიყავი სსრ კავშირის ჩემპიონი, 1937 წელს — თასის მფლობელი. ეს სულ მოსკოვის „დინამოს" შემადგენლობაში.

● **როდის შეუდექით მწვრთნელის საქმიანობას?**

— ჯერ კიდევ მაშინ, როცა ვთამაშობდი მოსკოვის „დინამოში", ვავარჯიშებდი ამ კლუბის პირველ გუნდს და ჭაბუკებს. ეს იყო 1939 წელს.

● **თქვენი შემდგომი კონტაქტი ქართველ ფეხბურთელებთან?**

— ომისშემდგომ წლებში ვავარჯიშებდი „შრომითი რეზერვების" საკავშირო ნაკრებს, სადაც თბილისიდან მოვიწვიე 6 ახალგაზრდა ფეხბურთელი. ესენი იყვნენ: მ. ჯოჯუა, მ. გარიშვილი, ა. პაიჭაძე, ა. ბურჭულაძე, ზ. ქვარიანი და გ. დავთიანი. ისინი ყოველმხრივ იმსახურებდნენ ნაკრებში თამაშს და, ამას გარდა, მე საერთოდ მომწონს ე. წ. სამხრეთული ფეხბურთი.

● **რას გულისხმობთ ამ ცნებაში?**

— სამხრეთული, კერძოდ, ქართული ფეხბურთის ცნებაში მე უპირველესად ყოვლისა ვგულისხმობ დახვეწილ, უმაღლეს დონემდე აყვანილ ინდივიდუალურ ტექნიკას, სისწრაფეს, ტემპერამენტს, იმპროვიზაციას, არტისტიზმს, სწრაფვას ლამაზი თამაშისკენ. ეს სწორედ ის ფეხბურთია, რომელიც ყოველთვის იზიდავს და ატკბობს მაყურებელს. გარდა ამისა, ქართველი ფეხბურთელები, როგორც წესი, უხეში, ე. წ. ბინძური თამაშის ორგანული მოწინააღმდეგეები არიან. იშვიათად, რომ აქაურ ფეხბურთელთა შორის შეხვდეთ უხეშ მოთამაშეს. მე თვითონაც არასოდეს ვთამაშობდი უხეშად, თუმცა ხშირად ძალიან გამჭირვებია ხოლმე.

● **რახან ამ მიმართებით წავიდა ჩვენი საუბარი, გვითხარით, რას აფასებთ ყველაზე უფრო ფეხბურთელში?**

— მაღალი კლასის ფეხბურთელი დაჯილდოებული უნდა იყოს მრავალმხრივ, მაგრამ უპირველესი ყველა მის მონაცემიდან, რასაკვირველია, მაღალი ტექნიკაა. ტექნიკა — ეს არის ფეხბურთელის შეფასების უპირველესი საზომი, თუმცა მას სხვა მონაცემებიც — ათლეტური, სანებისყოფო, ტაქტიკური აზროვნება და ა. შ. უმაღლეს დონეზე უნდა ჰქავდეს აყვანილი.

● **რა პირობებში მოხდა თქვენი პირველი მუშაობა თბილისის დინამოელებთან?**

— ეს იყო 1964 წელს. მაშინ შემომთავაზეს თბილისის „დინამოში" მუშაობა. დიდხანს არ მიყოყმანია, ვინაიდან თბილისელი ფეხბურთელები ყოველთვის მომწონდა და ამას გარდა, იმ პერიოდში მ. იაკუშინს კარგად ჰყავდა კოლექტივი მომზადებული.

● **თქვენ არაერთხელ გიმუშავიათ სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ხელმძღვანელად. რა პრინციპებით აკომპლექტებთ ხოლმე გუნდს?**

— რასაკვირველია, უმთავრესი ესაა მოთამაშის კლასი და მისი საერთო შესაძლებლობანი. მაგრამ შეიძლება მოხდეს ისე, რომ მაღალი ინდივიდუალური კლასის მქონე მოთამაშე ნაკრებში ვერ მოხვდეს. მე ყოველთვის დიდ ყურადღებას ვაქცევ ფეხბურთელის ადამიანურ თვისებებს და პირად ღირსებებს. ხშირად ხდება, რომ „ვარსკვლავები" ძალზე ცუდად მოქმედებენ კოლექტივზე და გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ ხოლმე მას. მაგალითისთვის შორს არ წავალ. ყველამ იცის ე. სტრელცოვის ძალა, როგორც ფეხბურთელისა, მაგრამ იგი ნაკრებში არ შევიყვანეთ სწორედ იმ მიზეზების გამო, რომლებიც ზევით აღვნიშნეთ.

● **თბილისის „დინამოს" შარშანდელი ცუდი შედეგები გასვლაზე კარგად მოგეხსენებათ. როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მთავარი მიზეზი?**

— მიზეზი რამდენიმეა და მათ შესახებ თქვენს პრესაში უკვე იყო საუბარი. სუსტად ითამაშეს მეკარეებმა, უმოქმედობდა თავდასხმა, ამას გარდა გუნდმა მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე თამაშისას დაკარგა საკუთარი ძალების რწმენა და არ ავლენდა საჭირო სანებისყოფო თვისებებს. ამას უნდა დაემატოს, რომ გათამაშების მეორე წრეში საგრძნობლად მოიკლო მოთამაშეთა ფიზიკურმა მომზადებამ.

● **რა გეგმები გაქვთ დასახული უახლოესი ხანებისთვის?**

— 3 იანვარს შევუდექით ე. წ. მოსამზადებელ პერიოდს. შევიმუშავეთ საერთო გეგმა, რომელიც დავამტკიცეთ კოლექტივის საერთო კრებაზე. ამ პერიოდში ფეხბურთელები ყოველ დღე ივარჯიშებენ ორჯერ — დილით 1 საათს, ხოლო საღამოობით 2-2,5 საათს. პროგრამაშია უმთავრესად საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადება. დინამოელთა ტექნიკური კონდიციები სათანადო სიმაღლეზე დგას, მათი შენარჩუნება და შემდგომი დახვეწა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ამდენად აქცენტი უნდა გავაკეთოთ საერთო ფიზიკურ მზადებაზე. მით უმეტეს, რომ ზამთრის არდადეგების შემდეგ მოთამაშეები ამ მხრივ ერთობ არასახარბიელოდ გამოიყურებიან.

10 იანვარს მივემგზავრებით ბაკურიანში, სადაც დავრჩებით 20 რიცხვამდე. შემდეგ, 16 თებერვლიდან 8 მარტამდე გავემგზავრებით ლესელიძეში. დანარჩენ დროს მზადებას ვაწარმოებთ თბილისის ბაზებზე.

● **როგორია ამჟამად თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობა?**

— გუნდის უფროსია სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. ჩხატარაშვილი, უფროსი მწვრთნელი — გ. კაჩალინი, მწვრთნელები — სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. ჩოხელი და ს. კოტრიკაძე, ექიმი — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ზ. თელია.

● **რა ცვლილებებია გუნდის შემადგენლობაში?**

— კოლექტივიდან არ წასულა არც ერთი ფეხბურთელი. შევსება გვყავს ზ. ებრალიძის (ქუთაისი), რ. ბერიძისა და დ. ყიფიანის (თბილისის „ლოკომოტივი") სახით. დანარჩენები ახალგაზრდობაა, რომელზეც ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ.

● **თბილისის „დინამოს" პერსპექტიული გეგმა 1971 წლის სეზონში?**

— ვიბრძოლებთ საპრიზო ადგილებზე გასასვლელად და თასის მოსაგებად. სულ ახლახან კოლექტივში მოვაწყვეთ თავისებური ანკეტა, რომლის ერთ-ერთი მთავარი კითხვა იყო თუ რას ფიქრობს თითოეული მოთამაშე წინამდებარე სეზონში. ყველამ გარკვევით ჩაწერა: ბრძოლა ჩემპიონის წოდებისთვის და თასის მოსაპოვებლად. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან ამ მაჩვენებლებისთვის ჩვენთან ერთად იბრძოლებენ ცსკა, მოსკოვის „დინამო", „სპარტაკი", „ტორპედო" და კიევის „დინამო". მაგრამ რახან ფეხბურთელებს ასეთი ერთსულოვნებით აქვთ გადაწყვეტილი მაღალი მაჩვენებლებისთვის ბრძოლა, იგი რეალურ მიზნად უნდა მივიჩნიოთ. სასიამოვნოა, როცა კოლექტივს ასეთი ერთსულოვანი სწრაფვა და მიზნები გააჩნია.

● **რას იტყვით საქართველოს სხვა გუნდებზე?**

— ამჟამად ვერაფერს. ფეხბურთის მოყვარულებს ვაცნობებთ მხოლოდ იმას, რომ ჩვენს გუნდს გადაწყვეტილი აქვს მოსამზადებელ პერიოდში ჩაატაროს ამხანაგური საკონტროლო მატჩები რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში, სადაც კი საამისო შესაძლებლობა არსებობს. ეს მატჩები დინამოელთათვის სპორტულ ფორმაში შესვლის საშუალება იქნება და პარალელურად ადგილობრივ გუნდებში შევარჩევთ პერსპექტიულ ფეხბურთელებს.

დასასრულ მინდა „ლელოს" საშუალებით ფეხბურთის მოყვარულებს ვაცნობო, რომ დინამოელებს განზრახული გვაქვს მჭიდრო კავშირი დავამყაროთ მათთან. ეს მხოლოდ სარგებელს მოგვიტანს. კერძოდ, გეგმაში გვაქვს ბაკურიანიდან დაბრუნების შემდეგ მოვაწყოთ ოფიციალური შეხვედრა ფეხბურთის მოყვარულებთან არა ვიწრო წრეში, არამედ ფართო მასშტაბით, ოფიციალურად. პრესაში გამოვაქვეყნებთ, თუ სად მოეწყობა ეს შეხვედრა და ფეხბურთის მოყვარულთ შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ მასში. ასეთ შეხვედრებს მოვაწყობთ შემდეგშიც, სეზონის მსვლელობისას. იმ საკითხებზე, რომლებიც ჩვენს ამ ინტერვიუში არაა გაშუქებული, მსურველებს საშუალება ექნებათ აქ მიიღონ სათანადო პასუხი.

● ● ●

სურათზე: თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი გ. კაჩალინი თეორიულ მეცადინეობას ატარებს ფეხბურთელებთან.

სტარტს სტარტი მოსდევს

სამხრეთ და დასავლეთ ავსტრალიის ჩემპიონატებში წარმატებით გამოსვლის შემდეგ საბჭოთა ჩოგბურთელები — თბილისელი ა. მეტრეველი და მოსკოველი ო. მოროზოვა ჩაებნენ მესამე ტურნირში — ტასმანიის ღია ჩემპიონატში, შეჯიბრება ქ. ჰობარტში ტარდება.

მეტრეველმა პირველი ორი შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით (6:1, 6:1) მოიგო. მან ორივეჯერ ავსტრალიელები დაამარცხა — მ. რენდელი და კ. სტიუბსონი. პირველ წრეში მოროზოვამ მოუგო ავსტრალიელ ვ. მურს — 6:2, 6:2.

ტურნირში 17 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობენ.

მემორიალი ტრადიციად იქცა

ქართული ჭადრაკის ამაგდარის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის გ. ქარსელაძის სახელი კარგადაა ცნობილი ფართო საზოგადოებრიობისთვის. მან ბევრი ნიჭიერი მოჭადრაკე გამოიყვანა დიდ სარბიელზე. ქარსელაძის ხელდებულებმა ჭადრაკის მწვერვალები დაიპყრეს, განადიდეს თავისი ერი და აღმზრდელი. მადლიერმა საზოგადოებრიობამ 1968 წლიდან ღვაწლმოსილი მწვრთნელის ხსოვნის ტურნირი შემოიღო.

და აი, ხვალ გორში სტარტს აიღებს გ. ქარსელაძის მეორე მემორიალი. ტურნირში მოწვეულია 14 მოჭადრაკე: დიდოსტატები — სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი ლ. შტეინი, ი. პლატონოვი (ორივე — კიევი), ს. ფურმანი (ლენინგრადი), ბ. გურგენიძე, ჯ. ბუწულდი (ორივე — თბილისი), საერთაშორისო ოსტატები ვ. სავონი (ხარკოვი), რ. ჯინჯიხაშვილი (თბილისი), ოსტატები მ. პოდგაეცი (ოდესა), ა. ბოკუჩავა, ს. ჩეჩელიანი, ე. უბილავა, ოსტატობის კანდიდატები ზ. მიქაძე (ყველა — თბილისი) და გ. კუთარაშვილი (გორი), აგრეთვე, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონ ქალთა თასის მფლობელი, საერთაშორისო ოსტატი ნანა ალექსანდრია.

მემორიალი მრავალმხრივაა საინტერესო. მაგალითად, გურგენიძე პირველად ითამაშებს დიდოსტატის რანგში, ხოლო ალექსანდრია პირველად მიიღებს მონაწილეობას ასეთი მასშტაბის ტურნირში.

გორელები საგანგებოდ მოემზადნენ ტურნირისთვის. მემორიალი გ. ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრში ჩატარდება. მოჭადრაკეები ეწვევიან საწარმო-დაწესებულებებს, სადაც ლექციებსა და ერთდროული თამაშის სეანსებს გამართავენ. მემორიალის მონაწილეთათვის დაწესდა რამდენიმე საგანგებო ჯილდო, მაგალითად, ყველაზე მეტი მოგებისთვის, ლამაზი პარტიისთვის და სხვ.

გ. ქარსელაძის მემორიალი 28 იანვრამდე გასტანს.

„სიმღი" — პრიზიორი

ცხინვალის სპორტულ ბაზებზე ორი თვე მიმდინარეობდა „სპარტაკის" საოლქო საბჭოს სპარტაკიადა, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავს მიეძღვნა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ფიზკულტურული კოლექტივების ნაკრები გუნდები.

ოთხ სახეობაში (ფრენბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, შაში) გამარჯვებულები ჩვენს მკითხველს უკვე გავაცანით.

ტყვიის მსროლელთა ასპარეზობა დოსააფის ტირში მიმდინარეობდა. უძლიერესი აღმოჩნდა ტრესტ „სამხრეთოსოლქგაზის" კოლექტივი. II და III ადგილები წილად ხვდათ კავშირგაბმულობის კვანძისა და სამხატვრო სასწავლებლის გუნდებს.

მომავალმა მხატვრებმა გაიმარჯვეს მძლეოსნობაში, ხელბურთსა და ჭადრაკში. ავტობუსების შემკეთებელი ქარხნის სპორტსმენებმა II ადგილები დაიკავეს ჭადრაკსა და ხელბურთში. III ადგილებს დასჯერდნენ კავშირგაბმულობის კვანძისა (ჭადრაკში) და გაზის კანტორის (ხელბურთში) წარმომადგენლები.

მძლეოსანთა ტექნიკური შედეგები დაბალია. ქალთა კოლექტივებს შორის პირველობა არავის დაუთმეს სამედიცინო სასწავლებლის მძლეოსნებმა. II და III ადგილებზე არიან სამხატვრო სასწავლებლისა და სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „სიმღის" გუნდები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ მომავალი მხატვრები. II ადგილზეა ავტობუსების შემკეთებელი ქარხნის კოლექტივი, III — კავშირგაბმულობის კვანძის გუნდი.

მ. მილქოვი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

ოსტატობის სრულყოფისთვის

IV. სპორტული წვრთნის კანონზომიერებანი

სპორტული წვრთნის პროცესზე ვრცელდება ზოგადი პედაგოგიური პრინციპები (შეგნებულობისა და აქტიურობის, თვალსაჩინოების, სისტემატურობის, მისაწვდომობის, ინდივიდუალიზაციის და პროგრესირებისა). სპორტულ წვრთნას ახასიათებს საერთო კანონზომიერებათა გამოვლენის თავისებური ფორმა, ისეთი სპეციფიკური ნიშნები, რომლებსაც ფიზიკური აღზრდის სხვა ფორმებში ვერ ვხვდებით.

ასეთ კანონზომიერებებს მიეკუთვნებიან: 1. მაღალი მიღწევებისკენ მიმართულობა; 2. სპორტსმენის ყოველმხრივი და სპეციალური წვრთნის ერთობლიობა; 3. წვრთნის პროცესის უწყვეტობა, დატვირთვისა და დასვენების შემჭიდროებული რეჟიმი; 4. საწვრთნელი მოთხოვნების თანდათანობითი და მაქსიმალური ზრდა; 5. საწვრთნელი დატვირთვის ტალღოვანი ცვლილებები; 6. საწვრთნელი პროცესის ციკლურობა.

მაღალი მიღწევებისკენ მიმართულობა.

სპორტი ითვალისწინებს განწყობის ჩამოყალიბებას მაღალი მიღწევებისთვის და მათი მუდმივად გაუმჯობესებისთვის. სპორტული მოქმედებისთვის დამახასიათებელია მაქსიმალური მიღწევებისკენ მიმართულობა. ცხადია, ეს მაქსიმუმი სხვადასხვა სპორტსმენისთვის სხვადასხვაა, საერთოა მხოლოდ მისწრაფება: სპორტული სრულყოფის გზაზე რაც შეიძლება შორს წასვლა.

მაღალი სპორტული შედეგებისთვის განწყობას უდიდესი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც იგი ნიშნავს ადამიანის მნიშვნელოვან სასიცოცხლო შესაძლებლობათა უმაღლესი ზღვრისკენ მისწრაფებას.

განწყობის ფსიქოლოგიის მამამთავარი, მისი ჩამომყალიბებელი, გამოჩენილი მეცნიერი, აკადემიკოსი დ. უზნაძე აღნიშნავს, რომ „ქცევას გარემო განსაზღვრავს, ქცევა გარემოს ასახვის ნიადაგზე იშლება, მაგრამ ეს განსაზღვრა მექანიკური ხასიათის არაა. გარემო უშუალოდ ფსიქიკურზე კი არ მოქმედებს და უშუალოდ ქცევას კი არ იწვევს, არამედ იგი პირველ რიგში ქცევის სუბიექტზე მოქმედებს, მას ცვლის მთელი სიტუაციის შესაფერისად, მასში შესაფერისი ქცევის განწყობას იწვევს. თვითონ ქცევის აქტებს ამის შემდეგ, ამ განწყობის მქონე სუბიექტი განსაზღვრავს. იგი ამ აქტებს და პროცესებს, ამ ქცევას, მიმართავს, რომლის განწყობაც მას სიტუაციის ასახვის შედეგად აღმოუცენდა" (დ. უზნაძე. „ზოგადი ფსიქოლოგია". 1940 წ.).

„განწყობა, როგორც სუბიექტის სამოქმედო აწყობის პროცესი, მთელი რიგი არსებითი ნიშნებით ხასიათდება. მისი წარმოქმნა და მიმდინარეობა გარკვეულ კანონებს ემორჩილება. განწყობის კანონზომიერება, რომელიც მთლიანი სუბიექტის აქტივობის კანონზომიერებას წარმოადგენს სრულიად გასაგები მიზეზების გამო, თავის დაღსასვამს იმ ფსიქიკურ მოქმედებებს, რომელნიც ამ განწყობის გამოვლენას წარმოადგენენ და განსაზღვრავს ქცევაში ჩართული მრავალფეროვანი ფსიქიკური მოქმედების ურთიერთობას, ქცევის სახით მოცემული ფსიქიკურის სტრუქტურას.

...განწყობის სტრუქტურა წარმოადგენს ადამიანის აქტივობის სტრუქტურის საფუძველს" (ვ. ნორაკიძე).

ასეთ მისწრაფებას ხელს უწყობს სპორტული მოქმედების მთელი ორგანიზაცია და პირობები, კერძოდ, სპორტული შეჯიბრებების სისტემა და პროგრესული წახალისებანი (საწყისი სპორტული თანრიგის მინიჭებიდან დიდი სპორტული მიღწევებისთვის ოქროს მედლის მიღებამდე და სახალხო პატივისცემამდე). მაღალი მაჩვენებლებისთვის განწყობა მიიღწევა სპორტული წვრთნის სათანადოდ აგებით, საშუალებებითა და მეთოდებით, გაღრმავებული სრულწლიური და მრავალწლიური სპეციალიზაციით სპორტის არჩეულ სახეობაში. მაქსიმუმისკენ მიმართულობა განაპირობებს სპორტული წვრთნის განმასხვავებელ ნიშნებს — დატვირთვის გაზრდილ დონეს, დატვირთვისა და დასვენების მონაცვლეობის განსაკუთრებულ სისტემას, აშკარად გამოხატულ ციკლურობას და ა. შ.

ეს კანონზომიერება სხვადასხვაგვარად ვლინდება მრავალწიური სპორტული სრულყოფის ეტაპებისგან დამოკიდებულებით. საწყის ეტაპებზე საწვრთნელ პროცესს სპორტული სპეციალიზაციის აშკარად გამოსახული ნიშნები არ გააჩნია. მაღალი მიღწევებისთვის განწყობას შორეული პერსპექტივის ხასიათი აქვს. ორგანიზმის ასაკობრივი ჩამოყალიბებისა და გაწვრთნილობის დონის გაზრდით ეს განწყობა სრულად ხორციელდება მანამდე, სანამ მოქმედებას არ დაიწყებს ასაკობრივი შემზღუდველი და სხვა ფაქტორები.

პროგრესირების საერთო პრინციპი სპორტულ წვრთნაში განსაკუთრებულ შინაარსს ღებულობს. ეს არის მოთხოვნა სრულყოფის შესაძლებლად მაქსიმალური ხარისხის უზრუნველყოფისა სპორტის განსაზღვრულ სახეობაში, რაც გაღრმავებული სპეციალიზაციის აუცილებლობას ნიშნავს.

ამასთან დაკავშირებით, სპორტული წვრთნის პროცესის დაგეგმვისას მეტად მნიშვნელოვანია ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინება.

მაღალი სპორტული მიღწევები შესაძლებელია მხოლოდ შემოქმედებითი ძიების დროს. ამიტომ სპორტსმენს მოეთხოვება არა მარტო შეგნებული დამოკიდებულება თავისი საქმისადმი, არამედ სპორტული წვრთნის შინაარსში ღრმად ჩაწვდომა, საერთოპედაგოგიური შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპებით მუდმივი სარგებლობა და ხელმძღვანელობა.

სპორტსმენის ყოველმხრივი და სპეციალური წვრთნის ერთობლიობა.

სპორტსმენის სპეციალიზაცია არ გამორიცხავს სპორტსმენის ყოველმხრივ განვითარებას. არჩეულ სახეობაში მნიშვნელოვანი წარმატებები მხოლოდ ორგანიზმის ფუნქციური და სულიერი შესაძლებლობების ყოველმხრივი განვითარების საფუძველზეა შესაძლებელი.

სპორტული სრულყოფის ობიექტური კანონები მოითხოვენ, რომ წვრთნა — ღრმად სპეციალიზებული პროცესი, ამავე დროს წარმოადგენდეს ყოველმხრივი განვითარების პროცესსაც. ამასთან დაკავშირებით სპორტულ წვრთნაში ურთიერთშეთავსებულია საერთო და სპეციალური მომზადება.

სპორტსმენის ყოველმხრივი და სპეციალური მომზადების ერთობლიობა ნიშნავს, რომ წვრთნიდან არც ერთი დასახელებული მხარის გამორიცხვა არ შეიძლება სპორტული მიღწევებისთვის ზიანის მიუყენებლად. ეს ნიშნავს მათს შინაარსობრივ ურთიერთდამოკიდებულებას. ამ მხარეების წვრთნაში ურთიერთშეფარდება დამოკიდებულია სპორტის სახეობის განსაკუთრებულობაზე და ბევრ სხვა მიზეზზე. შეიმჩნევა როგორც ყოველმხრივი მომზადების შეუფასებლობა, ასევე უფრო იშვიათად მისი გადაჭარბებული გამოყენებაც.

ყოველმხრივი და სპეციალური მომზადების ოპტიმალური შეფარდება არ არის მუდმივი, იგი სპორტული წვრთნის სხვადასხვა ეტაპზე კანონზომიერად იცვლება.

სპორტულ წვრთნას მხოლოდ ყოველმხრივი განვითარების გზით შეუძლია მიიყვანოს სპორტსმენი უმაღლეს შედეგამდე. უდავო ხდება, რომ წვრთნის პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველმხრივი ზეგავლენისა და გაღრმავებული სპეციალიზაციის შეთავსება. სპორტული წვრთნა უნდა იყოს ყოველმხრივი და ამავე დროს სპეციალიზებული.

წვრთნის პროცესის უწყვეტობა, დატვირთვისა და დასვენების შემჭიდროებული რეჟიმი.

სპორტული წვრთნის პროცესი მეცადინეობის ეტაპებისა და პერიოდების უწყვეტობით და ურთიერთკავშირით ხასიათდება. სპორტული წვრთნის პროცესის უწყვეტობას აქვს შემდეგი ძირითადი მომენტები:

1. საწვრთნელი პროცესი მიმდინარეობს სრულწლიურად და მრავალწლიურად; სპორტის არჩეულ სახეობაში სრულყოფისკენ მიმართულობის შენარჩუნებით;

2. ყოველი შემდგომი საწვრთნელი მეცადინეობის ზემოქმედება ეყრდნობა წინა მეცადინეობის „კვალს" (ე. ი. ორგანიზმის ფუნქციურ და მორფოლოგიურ დადებით ძვრებს);

3. მეცადინეობებს შორის დასვენების ინტერვალი დადგინდება ისეთ ფარგლებში, როგორიც აღდგენისა და შრომისუნარიანობის გარანტიას იძლევა, სადაც პერიოდულად დასაშვებია მეცადინეობის ჩატარება ნაწილობრივ აღუდგენლობის ფონზე.

ჩატარებული საწვრთნელი მეცადინეობები აღდგენითი პროცესების სხვადასხვა ფაზაში სხვადასხვა ეფექტს იძლევიან. პრინციპში საჭიროა წვრთნისა და დასვენების ისეთი რიტმი, რომ ძირითადი მეცადინეობები ტარდებოდეს სპორტსმენის გაზრდილი შრომისუნარიანობის ფონზე. მაღალი გაწვრთნილობის მიღწევის დროს ხდება რამდენიმე თანმიმდევარი მეცადინეობის ეფექტის შეჯამება, როცა წვრთნა აღდგენითი პროცესების დაუმთავრებელი ციკლის პირობებში ტარდება. მაგრამ ეს გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მეცადინეობის სერიები სისტემატურად მონაცვლეობენ კომპენსატორულ დასვენებასთან და არ მიიყვანენ სპორტსმენს „გადაწვრთნილობის" მ~ვლენამდე. საერთოდ, ამ მოვლენის არსი მდგომარეობს შემდეგში — წარვუდგინოთ ორგანიზმს მეტად დიდი მოთხოვნები და პასუხად მივიღოთ შრომისუნარიანობის მძლავრი ზრდა შემდგომი დასვენების დროს.

საწვრთნელი მოთხოვნების თანდათანობითი და მაქსიმალური ზრდა.

ფიზიკური აღზრდის საერთო კანონზომიერების თანახმად, სპორტული წვრთნის პროცესში საწვრთნელი დატვირთვის ზრდა უნდა მოხდეს თანდათან; ვინაიდან მხოლოდ დატვირთვის თანდათანობითი ზრდის საფუძველზეა შესაძლებელი მოძრაობითი ჩვევებისა და უნარის სისტემატური სრულყოფა.

სპორტული წვრთნისთვის დამახასიათებელი და სპეციფიკურია დატვირთვის არა მარტო თანდათანობითი ზრდა, არამედ მისი მაქსიმალურამდე მიყვანა. მაქსიმალური უნდა გავიგოთ, როგორც სპორტში მრავალწლიური მეცადინეობის დროს დატვირთვის გაზრდის პერსპექტივა, აგრეთვე, სპორტული წვრთნის ყოველ ციკლში ზღვრული საწვრთნელი და საშეჯიბრებო დატვირთვის გამოყენება. ვინაიდან სპორტსმენის სხეულში მომხდარი პროგრესული ცვლილებები საწვრთნელი დატვირთვის შედეგად შეეფარდება მათს სიდიდეს, მაქსიმალური დატვირთვის გამოყენება წვრთნის განსაზღვრულ ეტაპებზე სპორტსმენის შესაძლებლობათა უმაღლესი განვითარების სავალდებულო ფაქტორია.

მაქსიმალური დატვირთვის გამოყენება წვრთნის პროცესში გამოყენებული დატვირთვის ზრდაზეა დამოკიდებული. მაქსიმალური დატვირთვა უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზმის უმაღლეს შესაძლებლობებს წვრთნის მოცემულ ეტაპზე. სპორტული წვრთნის ეს კანონზომიერება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მისაწვდომობისა და ინდივიდუალიზაციის პრინციპების მიმართ.

საექიმო-პედაგოგიური კონტროლის მნიშვნელობა სპორტულ მიღწევებთან ერთად იზრდება. რაც უფრო ახლოა სპორტსმენი თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმთან, მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს გაწვრთნილობის ეფექტის შეფასებას შემდგომი სრულყოფისათვის, შესარჩევი საშუალებებისა და მეთოდების ინდივიდუალურად განსაზღვრას. ამიტომ მწვრთნელის, მეცნიერის, ექიმისა და სპორტსმენის მუდმივი თანამეგობრობა საწვრთნელ მუშაობაში სპორტული პრაქტიკის მრავალ შემთხვევას უნდა მოიცავდეს.

მაქსიმალური დატვირთვის მოხმარება ითვალისწინებს სისტემატურობის პრინციპის ზუსტ გამოყენებას, საწვრთნელი პროცესის უწყვეტობას და დატვირთვისა და დასვენების რაციონალურ მონაცვლეობას, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს ასეთი დატვირთვის დადებით ეფექტს.

საწვრთნელი დატვირთვის ტალღოვანი ცვლილებები.

სპორტული წვრთნის პროცესში ცნობილია დატვირთვის თანდათანობითი ზრდის სხვადასხვაგვარი გზები: სწორხაზობრივი, საფეხურებრივი და ტალღისებური. უფრო დამახასიათებელია ტალღისებური დინამიკა, რაც, პირველ ყოვლისა, განსაზღვრულია იმ მოთხოვნათა განსაკუთრებულად მაღალი დონით, რომელთაც სპორტსმენის ორგანიზმის ფუნქციურ და შეგუებით (ადაპტაციურ) შესაძლებლობებს წარუდგენენ.

საწვრთნელი დატვირთვა სპორტსმენის ორგანიზმზე ფიზიკური ვარჯიშის გავლენაა და გამოიხატება როგორც გარეგანი, ისე შინაგანი მაჩვენებლებით. გარეგანი მაჩვენებლებით გამოხატვა ხდება ფიზიკური ვარჯიშის ხანგრძლივობით, გავლილი მანძილით, აწეული ტვირთის წონით, ვარჯიშთა რაოდენობით და ა. შ. შინაგანი მონაცემებით გამოხატვა ორგანიზმში მომხდარი ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური და ნერვული პროცესების ძვრების დადგენით წარმოებს.

საწვრთნელი დატვირთვის განუწყვეტელი ზრდა ადრე თუ გვიან წინააღმდეგობაში მოხვდება შეგუების ცვლილებების მსვლელობასთან. ამასთან დაკავშირებით, საწვრთნელ პროცესში საჭიროა დატვირთვის დროებითი შემცირება, რაც აადვილებს ორგანიზმში ბიოლოგიური გარდაქმნების მიმდინარეობას. აქედან გამომდინარე, საწვრთნელი დატვირთვის დინამიკა (ესე იგი, ცვლილებების მსვლელობა) სწორხაზობრივი არ შეიძლება იყოს და იგი ტალღისებურ ხასიათს მიიღებს.

გამოიყოფა „ტალღების" შემდეგი მასშტაბები: 1. მცირე, რომელიც გამოხატავს დატვირთვის დინამიკას მიკროციკლებში, სხვადასხვა შემთხვევაში — 2-7 დღეს; 2. საშუალო, რომელიც გამოხატავს რამდენიმე მცირე „ტალღის" დატვირთვის ტენდენციას (მაგალითად, 3-6) წვრთნის ეტაპების ფარგლებში; 3. დიდი, რომელიც ახასიათებს საშუალო „ტალღების" საერთო ტენდენციას წვრთნის პერიოდებში.

ტალღოვანი ცვლილებები ახასიათებენ როგორც დატვირთვის მოცულობის, ასევე დატვირთვის ინტენსივობის დინამიკას, რომლის დროსაც მათი მაქსიმალური მნიშვნელობანი, როგორც წესი, ვადებით ერთიმეორეს არ თანხვდება. საშუალო და, განსაკუთრებით, დიდ „ტალღებში" უდიდეს მაჩვენებელს აღწევენ მოცულობის მაჩვენებლები (საწვრთნელი მუშაობის რაოდენობის ჯამი კვირის, თვის მანძილზე), შემდგომ მოცულობა ერთ დონეზეა და მცირდება, ამ ფონზე კი უდიდეს მაჩვენებლებს აღწევს ინტენსივობა (მეცადინეობის მოტორული სიმჭიდროვე, მოძრაობის სისწრაფისმიერი და ძალისმიერი დახასიათებანი).

მცირე „ტალღებში" ჩვეულებრივ შეიმჩნევა მოცულობისა და ინტენსივობის საწინააღმდეგო შეფარდება. თავდაპირველად ტარდება სწრაფძალისმიერი ხასიათის მეცადინეობანი (ესე იგი, უფრო ინტენსიური), შემდეგ — უფრო „მოცულობითი". ეს საერთო ტენდენციები სხვადასხვანაირად გამოვლინდება საწვრთნელ პროცესში ამა თუ იმ ვარჯიშის ადგილისგან დამოკიდებულებით.

საწვრთნელი დატვირთვის დინამიკის ტალღოვანი ხასიათი უშუალოდაა დაკავშირებული სპორტული წვრთნის ადრე ნაჩვენებ კანონზომიერებებთან.

საწვრთნელი პროცესის ციკლურობა.

სპორტული წვრთნის პროცესისთვის დამახასიათებელია ციკლურობა. ციკლურობა, ესე იგი, განსაზღვრული მეცადინეობების, ეტაპების, პერიოდების შედარებით დასრულებული წრიული მოქცევა საწვრთნელი პროცესის მთელ სტრუქტურას ახასიათებს. ანსხვავებენ წვრთნის დიდ (წლიურ და ნახევარწლიურ) და მცირე, მიკროციკლებს.

მიკროციკლები მოიცავენ რამდენიმე დღეს, ხშირად კვირას. მათზე მოქმედი ფაქტორები იგივეა, რაც იწვევს დატვირთვის დინამიკის მცირე „ტალღებს" და სხვადასხვა მიმართულების ვარჯიშების განმეორებითი გამოყენების აუცილებლობას მათს შორის ოპტიმალური ურთიერთკავშირის დროს. ამას გარდა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შრომითი და სასწავლო მოქმედების საერთო რეჟიმი. მიკროციკლები გარდაიქმნებიან საწვრთნელი პროცესის ეტაპებისა და პერიოდების განსაკუთრებულობის შესაბამისად.

წვრთნის დიდი ციკლები (იხ. ქვემოთ) „სპორტული ფორმის" განვითარების კანონზომიერებებით განისაზღვრებიან. სპორტული სრულყოფის პროცესში ხდება ფაზების თანმიმდევრული ცვლილებანი, რომლებიც ერთიმეორისგან განსხვავდებიან სპორტული მიღწევებისთვის სპორტსმენის მზადყოფნით. პირველი ფაზაა სპორტული ფორმის შეძენა; მეორე ფაზა — მისი შენარჩუნება, სტაბილიზაცია; მესამე ფაზა — სპორტული ფორმის დროებითი დაკარგვა. ეს ფაზები მონაცვლეობენ მუდმივად და შედარებით მაღალ დონეზე. თუ მწვრთნელი და სპორტსმენი დაინტერესებული არიან სპორტული შედეგების ზრდით, ისინი რასაკვირველია, ამ ფაზებს გვერდს ვერ აუვლიან.

„სპორტული ფორმის" განვითარების კანონზომიერებებში ჩაწვდენით შესაძლებელია ამ პროცესის მართვა. „სპორტული ფორმის" განვითარების ფაზები თავისთავად არ მოგვევლინებიან. ყოველ მათგანს ახასიათებს განსაზღვრული შინაარსი და სპორტული წვრთნის აგება. ამასთან დაკავშირებით, დიდ საწვრთნელ ციკლს აქვს სამი პერიოდი: მოსამზადებელი, რომელიც „სპორტული ფორმის" შეძენას უზრუნველყოფს; საშეჯიბრებო, რომელიც პირობებს ქმნის მისი შენარჩუნებისთვის, ესე იგი, სპორტსმენის მომზადების შემდგომი სრულყოფისთვის; გარდამავალი, რომელიც უზრუნველყოფს აქტიურ დასვენებას, გაწვრთნილობის განსაზღვრულ დონეზე შენარჩუნებას და ამით წვრთნის ორი ციკლის დამაკავშირებელს.

ამრიგად, სპორტულ წვრთნას აქვს თავისი სპეციფიკური კანონზომიერებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მწვრთნელისა და სპორტსმენის მოქმედების შედეგებს. მხოლოდ ამ კანონზომიერებათა შემეცნებით, სწავლებისა და აღზრდის პრინციპებთან ერთიანობაში მათი სწორი გამოყენებით შეიძლება სპორტული სრულყოფის მწვერვალების მიღწევა.

ლ. ბიორგაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

მონდომება და ყურადღება

იური ლექავა სულ ერთი წელია სამტრედიის სალოკომოტივო დეპოში ფიზკულტურის მეთოდისტად მუშაობს, ეს კოლექტივი კი უკვე მოწინავედ ითვლება ქალაქში.

თავიდან, რასაკვირველია, საწარმოო ტანვარჯიშით დაიწყო. სკეპტიკოსებიც, რა თქმა უნდა, მაშინვე გამოჩნდნენ, მაგრამ ბევრი მათგანი დღეს თვითონ გახლავთ ამ სასარგებლო საქმის პირველი მხარდამჭერი. შემდეგ საწარმოო ტანვარჯიშს ტურიზმითა და თევზაობით გატაცება მოჰყვა. ბევრი ამ სახეობათა სექციებში ჩაეწერა.

ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია ჭადრაკისა და შაშის სექცია. 18 კაცი უკვე თანრიგოსანია ამ სახეობებში.

რაიონში წარმატება მოიპოვა ფეხბურთელთა გუნდმაც, რომელიც 1970 წელს მესამე პრიზიორი გახდა. გუნდს ზეინკალი მ. კვანტალიანი ხელმძღვანელობს.

განსაკუთრებით ჭიდაობა უყვართ. მოჭიდავეებს წვრთნის თავად ი. ლექავა — სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში. ერთი მოწაფე დაეწია კიდეც მასწავლებელს: მემანქანის თანაშემწე გ. ვაშაკიძე შარშან სპორტის ოსტატი გახდა. მთელს კოლექტივში მან პირველმა მოიპოვა საპატიო წოდება. ამავე წარმატებას ალბათ მალე მიაღწევენ „უსტატო" მწვრთნელები — პირველთანრიგოსნები ე. მაკალათია და ი. გეგეშიძე.

დეპოს მოჭიდავეები უძლიერესნი არიან რაიონში.

იურის კარგ მუშაობას ისიც ადასტურებს, რომ დეპოს 550 მუშამოსამსახურიდან 317 ფიზკულტურელია. ერთი წლის მანძილზე აქ 87 თანრიგოსანი მომზადდა. ეს ყველაფერი მეთოდისტის მუყაითობისა და მისი პირველი ხელშემწყობის—დეპოს უფროსის მ. არველაძის ყურადღების შედეგია.

მ. ბუკიძე,
(ჩვენი სპეც. კორ.).
სამტრედია.

* * *

სურათზე: ი. ლექავა და მისი მოწაფეები რ. ნიკოლაიშვილი და ი. ანდღულაძე.

ნამდვილი ხასიათი

ფიგურული ციგურაობის ბევრი ცნობილი ოსტატისთვის სპორტული კარიერა სირთულით დაიწყო. ხასიათის ეს წრთობა, ბავშვობაშივე სიძნელეებთან ბრძოლის აუცილებლობა ბევრისთვის თავის როლს ასრულებდა უკვე გვიან, როცა სპორტსმენებს უკვე სულ სხვა გამოცდა ელოდათ.

1956 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, კორტინა დ'ამპეცოში გამარჯვებულმა ტენლი ოლბრაიტმა და მსოფლიო ჩემპიონმა წყვილთა სრიალში, კანადელმა რობერტ პოულმა ბავშვობაში პოლიომიელიტის მძიმე ფორმა გადაიტანეს. ავადმყოფობასთან ბრძოლის საშუალებად ორივემ ფიგურული ციგურაობა აირჩია. ისინი ჩემპიონები გახდნენ და ახსოვდათ, რომ სპორტი მათთვის მარტო უბრალო გატაცება კი არა, რაღაც მეტი, სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმე იყო.

აი, რას გვიამბობს ირინა როდნინა, რომელმაც ალექსი ულანოვთან ერთად ორგზის მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა წყვილთა სრიალში.

„წლინახევრის რომ ვიყავი, ფილტვების ტუბერკულოზით გავხდი ავად. საავადმყოფოშიც ვიწექი. რომ გამოვჯანსაღდი, მშობლები დიდხანს მასეირნებდნენ ხოლმე სუფთა ჰაერზე, ყინვაში. მერე ციგურებიც მიყიდეს და ჟდანოვის რაიონის ბავშვთა პარკის ფიგურისტთა ჯგუფში ჩამრიცხეს. ეს ჯგუფი ძალიან მომეწონა. სულ სრიალი მინდოდა...

იმ დროისთვის ტუბერკულოზის დისპანსერში უკვე მომხსნეს აღრიცხვიდან. სავსებით ჯანმრთელი ვიყავი..."

„სულ სრიალი მინდოდა"... ის, რაც თავიდან მხოლოდ სიამოვნებას ანიჭებდა, მერე სპორტსმენის ყოველდღიურ ვალდებულებად იქცა, რადგან ფიგურულ ციგურაობაში, რაოდენ ნიჭიერიც უნდა იყო, ყოველდღიური დაძაბული წვრთნის გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევ.

შეუპოვრობა და ნებისყოფის სიმტკიცე — აი, რა ახასიათებს ირინა როდნინას. „გულახდილად რომ გითხრათ, მორჩილი ხასიათი არა მაქვს. ამიტომ მე და ლიოშა თავიდან ვკამათობდით ხოლმე საწვრთნელ მეცადინეობებზე. იგი მაღლა ხტებოდა, მე კი უფრო მაღლა მსურდა, იგი სწრაფად მიჰქროდა, მე უფრო სწრაფად მინდოდა მექროლა. დათმობა არ მიყვარს".

ალექსეი ულანოვის ბიოგრაფიაშიც არის საყურადღებო დეტალები, თუმცა ისინი ერთბაშად არ გეცემიან თვალში. „ათი წლის განმავლობაში ერთდროულად სამ სკოლაში ვსწავლობდი — სპორტულში, ზოგადსაგანმანათლებლოში, მუსიკალურში, — გვიამბობს ულანოვი. — ჩვენს ოჯახში ყველა გატაცებულია მუსიკით. მუსიკალური სკოლა რომ დავამთავრე, გნესინების სახელობის სასწავლებელში შევედი. მუსიკა კი ყოველდღიურ, გულმოდგინე მეცადინეობას მოითხოვს, ისევე, როგორც სპორტს სჭირდება რეგულარული და დაძაბული წვრთნა. მაგრამ მე ბედს არ ვუჩივი. პირიქით, კმაყოფილი ვარ. მუსიკა და ფიგურული ციგურაობა ერთმანეთთანაა დაკავშირებული..."

აი, კიდევ ნამდვილი ხასიათის მაგალითები: ლენინგრადელი ბიჭი, რომელმაც ბლოკადა გადაიტანა. მას ნამდვილ ბედნიერებად მიაჩნია, თუ საკანცელარიო წებოსგან მოხარშულ კერძს იშოვის. მეხსიერებაში სამუდამოდ ჩარჩა ხალხი, რომელმაც სხვების ბედნიერებისა და კეთილდღეობისთვის თავი გასწირა.

ლენინგრადელი ჭაბუკი. მეზღვაური. კაცი, რომლისთვისაც წვრთნის ორი საათი ნამდვილი ბედნიერებაა. ჭაბუკი, რომელიც მშვენივრად იცნობს სამხედრო დისციპლინას, მკაცრ საზღვაო სამსახურს.

ლენინგრადელი სპორტსმენი, რომელიც ფიცხელ ყინვაში ვარჯიშს არ ერიდება, რომელსაც სჯერა გამარჯვებისა მაშინ, როცა სხვები სულაც ასე არ ფიქრობენ. მას სჯერა თავისი სტილისა, თუმცა სხვა არავინ უჭერს მხარს.

აი, ეს გახლავთ ოლეგ პროტოპოპოვი. კაცი, რომელმაც საკუთარი თავის დაზოგვა და შებრალება არ იცის.

ოლეგის მხარდამხარ სიარული მხოლოდ ერთ ადამიანს — ლიუდმილა ბელოუსოვას შეუძლია. რამდენი სიმამაცე, სიმტკიცე, საოცარი გაგებისა და მოთმინების უნარი იმალება ამ უნაზეს ქალში!

გავიხსენოთ კიდევ ერთი სპორტსმენი, რომლის ხასიათიც განსაკუთრებით ნათლად სკვო-ველის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში გამოჩნდა. ეს სპორტსმენი ჩეხოსლოვაკიელი კარელ დივინი გახლავთ.

ფიგურულ ციგურაობაში ოლიმპიური ასპარეზობის ფავორიტად ამერიკელი მსოფლიო ჩემპიონი დევიდ ჯენკინსი ითვლებოდა. მაგრამ დივინმა შეჯიბრებაში გამოიწვია იგი და სავალდებულო პროგრამის შემდეგ ლიდერიც გახდა. ნებისმიერ ციგურაობაში ამერიკელმა თავისი ყველა კოზირი გამოიყენა. დივინის უჭირდა სრიალი. სტარტამდე რამდენიმე დღით ადრე მან ფეხის კუნთი დაიზიანა და ახლა ყოველი მოძრაობა აუწერელ ტკივილს აყენებდა. ხტომის თავი სადღა ჰქონდა, მაგრამ მაინც ხტებოდა, ტრიალებდა, დაჰქროდა სარბიელზე, სურდა დაემტკიცებინა, რომ ფიგურული ციგურაობა მამაცთა სპორტია და დაამტკიცა კიდეც, როცა ვერცხლის მედალი მოიპოვა.

როცა დივინმა ასპარეზობა დაამთავრა, დევიდ ჯენკინსი ტრიბუნიდან ჩამოვიდა, მაგრად ჩამოართვა ხელი კარელს და მერე თქვა: „დივინი შესანიშნავი ბიჭია!"

და ბოლოს, კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც 1969 წელს გამოქვეყნებული ერთი საგაზეთო ანგარიშიდან მოგვყავს.

„ამ რამდენიმე წლის წინ ევროპის ყინულზე ახალი ვარსკვლავი გაბრწყინდა. ეს იყო ახალგაზრდა სპორტსმენი გფრ-იდან ინა ბაუერი. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მით უმეტეს, რომ ინას მამას, მსხვილ საფეიქრო მრეწველს, სულ იოლად შეეძლო თავისი ქალიშვილისთვის წელიწადის ნებისმიერ დროს მსოფლიოს ნებისმიერი საუკეთესო საციგურაო დაექირავებინა საწვრთნელად. წინაოლიმპიური წლის რვა თვე ინა ბაუერმა ოკეანის მიღმა — კოლორადო-სპრინგსის ზაფხულის საციგურაოზე გაატარა. ბაუერი ოლიმპიური მედლის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრეტენდენტად მიაჩნდათ. ცხრამეტი წლის სპორტსმენისგან გამარჯვებას ელოდნენ გარმიშ-პარტენკირხენის (გფრ) ევროპულ ჩემპიონატში. მაგრამ აქ სავალდებულო ვარჯიშის შემდეგ ბაუერს მხოლოდ მეოთხე ადგილი ხვდა, რის გამოც პრაქტიკულად დაკარგა ევროპის ჩემპიონის სახელის მოპოვების შანსი. ფაბრიკანტმა კარლ ბაუერმა გარმიშ-პარტენკირხენში რისხვით აღსავსე წერილი გაგზავნა. „მე უამრავი ფული გადავყარე, რათა ჩემპიონი გამხდარიყავი. ჩემი ცდა ამაო გამოდგა. სასწრაფოდ დაბრუნდი შინ. ამიერიდან შეჯიბრებებში აღარ გამოხვალ".

გფრ-ის ოლიმპიური გუნდი სკვოველში გაფრინდა.

ინა ბაუერი შინ დარჩა".

ინა ბაუერს ხასიათის სიმტკიცე არ ეყო! იგი ალბათ ადრეული ბავშვობიდანვე იოლ ცხოვრებას იყო მიჩვეული. ვარჯიში გსურს? — ივარჯიშე, რამდენიც გენებოს. ფიგურული ციგურაობა მოგწონს? — შენს განკარგულებაშია მწვრთნელი, შენს განკარგულებაშია საციგურაო. მაგრამ, თუ ფაბრიკანტი მამა რაღაც საქმეში ფულს დებს, კეთილი ინებე და ამ საქმეს სერიოზულად მოეკიდე. ფული კაპიტალია და მან პროცენტები უნდა მოგცეს. ინა ბაუერს არ შეეძლო ეს პროცენტები მოეტანა მამისთვის. ესე იგი, ინა ბაუერი ფიგურისტი ვეღარ იქნებოდა.

შეიძლება ყველაფერი უფრო რთულად მოხდა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ნიჭიერმა ფიგურისტმა სპორტი დატოვა. დატოვა თავისი სურვილის გარეშე. ესე იგი ნებისყოფა არ ეყო.

აბა, შეადარეთ ინა ბაუერისა და ირინა როდნინას ბიოგრაფია. ერთმა დაბრკოლება ვერ გადალახა და ძლივს შესამჩნევი კვალი დატოვა სპორტში. მეორე მსოფლიო ჩემპიონი გახდა სწორედ ხასიათის სიმტკიცის წყალობით.

ა. ლარინი.

• • •

სურათზე: ა. ულანოვი და ი. როდნინა.

ვ. გალაქტიონოვის ფოტო.

წერილი რედაქციას

ეს დაუშვებელია!

საქართველოში სათხილამურო სპორტის მთავარი კერა ბაკურიანია. რესპუბლიკის მთავრობა სისტემატურად ზრუნავს აქ სამთო-სათხილამურო და სარბენი ტრასების, ტრამპლინების, საცხოვრებელი ბინების ქსელის გაფართოებისთვის, მოსახლეობის, სპორტსმენების, დამსვენებლების კეთილმომსახურებისთვის. აშენდა ახალი კინოთეატრი, გაფართოვდა სასადილოების ქსელი, კეთილმოეწყო გზები...

უფრო ადრე ახალბედა სამთომოთხილამურეებისთვის ბაკურიანის პარკის ტერიტორიაზე ზემდგომი ორგანოების ნებართვით ასობით ძირი ხე მოიჭრა, მწვრთნელებმა, სპორტსმენებმა, საშუალო სკოლის მოსწავლეებმა საკუთარი ძალებით სპეციალური ტრასა ააგეს. საქართველოს უძლიერესმა სამთომოთხილამურეებმა სწორედ ამ ტრასაზე აიდგეს ფეხი. აქ ვარჯიშობენ მომავალი ოსტატები, რომლებიც სპორტსკოლის ჯგუფებში მეცადინეობენ. რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან არდადეგებზე ჩამოსული მოსწავლეები და სტუდენტებიც იქ იწრთობიან. ვარჯიშის ხარისხის გაუმჯობესებისთვის პორტატული საბაგირო გზაც მოეწყო.

ამას წინათ კი სწორედ იმ ადგილს გეოლოგები ეწვივნენ, ორმოები ამოთხარეს, სინჯები აიღეს. როგორც გაირკვა, აქ გადაუწყვეტიათ საავადმყოფოს აშენება.

საავადმყოფოს აგება კარგი საქმეა, მაგრამ განა ადგილის გამოძებნა სხვაგან არ შეიძლებოდა? რატომ უნდა დაიკარგოს შესანიშნავი საწვრთნელი ბაზა? ესეც არ იყოს, კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე საავადმყოფოს რა უნდა?

პატივცემულო რედაქციავ! გთხოვთ დაგვეხმაროთ, რომ სამთომოთხილამურეთა მომზადების ეს კერა ხელუხლებელი დარჩეს.

ა. კოზანაშვილი,
ნ. თვაური,
მ. გავა,
მ. ნოსკოვი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები.
ა. ასტახიშვილი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
ი. ოგანეზოვი,
ბ. ჯეირანაშვილი,
ზ. კოზანაშვილი,
საქართველოს სსრ სამთომოთხილამურეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელები.
ი. ჯანბოგბეგოვი,
„დინამოს" ბაზის დირექტორი, სსრ კავშირის ექსჩემპიონი სლალომში.
ა. მიქაბერიძე,
ბაკურიანის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.
ნ. სანაკოევი,
სამთოსათხილამურო სპორტის ინსტრუქტორი.

ჩვენს ძმა რესპუბლიკებში

[illegible]

პიარნუელი რობინ ჰუდები

„ცოტა მაღლა ასწიე მშვილდი. აი, ასე. ტანი გამართე, არ მოიხარო. ახლა დაუმიზნე. ტყორცნე!"

ისარი სხვადასხვაფერი რგოლებით მოხატული სამიზნისკენ მიფრინავს. მხიარული პატარა ბიჭები და გოგონები თავიანთ მასწავლებელთან აქსელ რანდმერთან ერთად მიიშურებიან სამიზნეების შესამოწმებლად.

ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე არ წყდება ისრების ზუზუნი პიარნუს მახლობლად, ტამისტუში. ეს მშვენიერი კურორტი, სადაც ბრწყინვალე პლაჟი, სანატორიუმები და დასვენების სახლებია, ახლა ცნობილია, როგორც მშვილდოსნობის ერთ-ერთი ცენტრიც.

— ჩვენი სექციის შექმნას საფუძვლად დაედო სამი მშვილდი, ათი წლის წინ ლვოვიდან რომ ჩამოვიტანე, — იგონებს სექციის „პიონერი" ა. რანდმერი. — შეიკრიბა ენთუზიასტთა პატარა ჯგუფი. საღამოობით გვიანამდე ვმუშაობდით სახელოსნოში, მშვილდების ხარისხს ვაუმჯობესებდით. მერე ტამისტუში სასროლეთიც შევარჩიეთ და თავად ავაგეთ ბაზა.

რანდმერი უკვე ხანში შესული კაცია, მაგრამ მთელ თავისუფალ დროს მშვილდოსნებთან ატარებს. ოჯახში უსიამოვნება რომ არ იყოს, აქსელმა ორიგინალურ გამოსავალს მიაგნო — მშვილდოსნობა შეაყვარა მეუღლეს ასტას (ახლა ისიც სპორტის ოსტატია) და თავის 7 წლის ბიჭს ველისაც, რომელსაც პიარნუში ყველაზე პატარა მშვილდოსანს ეძახიან. პატარას სულაც არ უშლის ხელს ის ამბავი, რომ მშვილდი მასზე მაღალია. ეგ კი არა, 10 მეტრიდან იგი იშვიათად აცდენს მიზნის შუაგულს.

საინტერესოა, რომ მშვილდოსნობა პიარნუში „ოჯახურ" სპორტად იქცა. მაგალითად, სპორტის ამ სახეობის ერთ-ერთმა ინიციატორმა ო. ხაიდაკმაც მოიყვანა სასროლეთზე თავისი მეუღლე. იუტა მალე ესტონეთის ჩემპიონი გახდა ქალთა შორის, მერე კი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი სპორტსმენის სახელი მოიპოვა. სსრ კავშირის ნაკრების წევრი, კომბინატ „ვიისნურკის" ელექტრიკოსი ვ. პიკსონი სასროლეთზე შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს.

ახლა პატარა ქალაქ პიარნუში ათობით თანრიგოსანი და სპორტის ოსტატია მშვილდოსნობაში. მათ შორის არიან ქვეყნის ჩემპიონები და რეკორდსმენები, ევროპის პირველობათა პრიზიორები.

სწრაფად ოსტატდება ახალგაზრდობა. მაგალითად, 16 წლის ტ. აუამ მეცადინეობის დაწყებიდან უკვე წლინახევრის შემდეგ შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი და „დინამოს" პირველობის პრიზიორი გახდა. დამახასიათებელია, რომ მშვილდოსანთა საერთო რიცხვის ნახევარს მოსწავლეები შეადგენენ. ქალაქის მე-4 სკოლა კი ალბათ ერთადერთი სკოლაა მთელს საბჭოთა კავშირში, სადაც მშვილდოსნობაში ჩემპიონატი ტარდება.

ნორჩი სპორტსმენები სიამოვნებით ეხმარებიან ორგანიზატორებს სხვადასხვა შეჯიბრების ჩატარებაში. თითქმის ყველას მსაჯის კატეგორია აქვს.

„რობინ ჰუდების სექცია" ყველა ასაკის ხალხს იზიდავს.

— მე დიდი ხანია პენსიონერი ვარ, — ამბობს ყოფილი მძღოლი ა. მიკი. — მაგრამ მას შემდეგ, რაც მშვილდოსანთა ვარჯიშს დავესწარი, „სპორტის ავადმყოფობა" შემეყარა. ამას წინათ სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივიც კი შევასრულე. ყველა სენი დამავიწყდა, თითქოს 20 წელი ერთბაშად მომაკლდა.

ეს გასაკვირი როდია. ერთი საწვრთნელი მეცადინეობის დროს მშვილდოსანი სუფთა ჰაერზე ხუთ-ექვს კილომეტრს გადის ცეცხლის ხაზიდან სამიზნემდე და უკან. ლარის მოზიდვის დროს დაძაბულობის შედეგად ვითარდება გულმკერდისა და ხელების ძალა, უმჯობესდება მოძრაობის კოორდინაცია, თვალის ზომა.

პიარნუ განთქმულია მშვილდის დამზადების ოსტატობითაც. მაგალითად, ადგილობრივი ხე-ტყის კომბინატის დურგალი რ. ორგი და მისი მეგობრები შესანიშნავ დასაშლელ მშვილდებს აკეთებენ. ზოგჯერ შეჯიბრებებისა და საწვრთნელი მეცადინეობების დროს ლარის მოზიდვისგან იარაღის ბოლოები ტყდება. დასაშლელ მშვილდში დაზიანებული ნაწილი ადვილად შეიძლება შეიცვალოს.

ასე აღორძინდა პიარნუში ომებში დავიწყებული, მაგრამ სპორტში ცოცხალი რობინ ჰუდების ხელოვნება.

ბ. იასტრებოვი.
(საკდეხის კორ.).

პიარნუ.

საახალწლო საჩუქარი ფიზკულტურელებს

ნოვოსიბირსკი, 4 იანვარი. ახალი წლის პირველ დღეებში ობსპირა ქალაქი კიდევ ერთი სპორტული ბაზით გამდიდრდა. სპორტკლუბ „ენერგიის" კოლექტივს გადაეცა ახალი სპორტული კორპუსი ღია ჰოკეის მოედნით, რომლის ტრიბუნებიც 1500 კაცს იტევენ. ფიზკულტურელებმა მიიღეს, აგრეთვე, თამაშების მოედანი (400 კვ. მ), აქვთ ჭადრაკის დარბაზი, საშხაპეები, გასახდელები, რადიოკვანძი, დამხმარე სათავსოები.

სპორტული კორპუსის მშენებლობას ხელმძღვანელობდა საბჭოთა ჰოკეის № 1 არბიტრი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ინჟინერი ი. კარანდინი.

ბაკურიანის 90-მეტრიანი ტრამპლინი წლეულს ორი დიდი შეჯიბრების მასპინძელი იქნება. — 9-10 იანვარს აქ მეორედ გათამაშდება სსრ კავშირის თასი, რომლის დასაკუთრებისთვისაც პრიზის მარშანდელ მფლობელს — გორკის ოლქის ნაკრებს, მოსკოვის, ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების გუნდები შეეჯიბრებიან. მათგან საუკეთესონი 16-17 იანვარს აქვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზის პირველ საერთაშორისო გათამაშებაში ჩაებმებიან. იანვრის შუა რიცხვებში აქ სსრ კავშირის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პოლონეთის, ფინეთის, იუგოსლავიის, შვეციის, ავსტრიის, გფრ-ისა და სხვა ქვეყნების სახელმწიფო დროშები, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების ალმები იფრიალებენ.

ტურნირების მაღალ დონეზე გამართვისთვის შეიქმნა შეჯიბრებათა საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ი. ურუშაძეს.

მთავარი ჯილდოების გარდა, ცალკეულმა ორგანიზაციებმა დააწესეს სპეციალური პრიზებიც. ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის პრიზებს მიიღებენ საქართველოს სპორტსმენთაგან საუკეთესო და ყველაზე გრძელი ნახტომის შემსრულებლები.

• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARÚGÁS •

მოკლედ

● **პრაღა.** ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მწვრთნელად დანიშნულია წარსულში კარგად ცნობილი ფეხბურთელი ლ. კაჩანი, რომელიც 1958 წელს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა.

● **ციურიხი.** უეფა-ს მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ ევროპის 16 ქვეყანაში ოფიციალურად აღიარებული და კულტივირებულია ქალთა ფეხბურთი. ეს თამაში ქალთა შორის ყველაზე უფრო პოპულარულია შვეციაში, სადაც 200 გუნდი მონაწილეობს სხვადასხვა შეჯიბრებაში.

● **კოპენჰაგენი.** მაყურებელთა რიცხვმა სტადიონებზე ძალიან იკლო. თუ 1969 წელს დანიის ჩემპიონატის მატჩებს დაესწრო 900 ათასი მაყურებელი, 1970 წელს ეს რიცხვი 665 ათასამდე დავიდა.

● **ლონდონი.** ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ ა. რამსეის ნაკრების მწვრთნელის რწმუნებები გაუგრძელა 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დასასრულამდე.

● **რიო-დე-ჟანეირო.** როგორც ბრაზილიის სპორტული კონფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, ამჟამად ამ ქვეყანაში 7.150 პროფესიონალი ფეხბურთელია.

● **მარსელი.** ქალაქის მერმა „ოსკარის“ ჯილდო გადასცა ამ ქალაქის გუნდში მოთამაშე იუგოსლაველ თავდამსხმელ სკობლარს, როგორც საფრანგეთის ძლიერეს პროფესიონალ ფეხბურთელს.

● **სპლიტი.** წარსულში ცნობილმა მეკარემ ბეარამ შვეციის ფეხბურთის ფედერაციისგან მიიღო წერილი, რათა თებერვალში გამონახოს დრო და სპლიტში (სადაც ბეარა მუშაობს გუნდის მწვრთნელად) ავარჯიშოს შვეციის 20 ახალგაზრდა მეკარე.

პელეს 3 ბურთი

ჰონკონგისთვის სარეკორდო რიცხვი — 28 ათასი მაყურებელი მოვიდა ადგილობრივ სტადიონზე პელესა და „სანტოსის“ სანახავად. ამ დღეს ბრაზილიის განთქმული კლუბი შეხვდა ჰონკონგის ნაკრებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, სტუმრებმა იოლად გაიმარჯვეს — 4:0, ამასთან 3 გოლი გაიტანა პელემ.

გრივსი გრივსად რჩება

ცნობილ ინგლისელ თავდამსხმელ ჯ. გრივსს, რომელიც კარგა ხანია გამოყვანილია ეროვნული ნაკრებიდან, არ დაუკარგავს თავისი სნაიპერული თვისებები. სწორედ ამიტომ ინგლისელი ჟურნალისტები დროდადრო აუგად იხსენიებენ ნაკრების მწვრთნელ ა. რამსეის, რომ მან გუნდს დაუკარგა ესოდენ ბრწყინვალე თავდამსხმელი.

ამას წინათ გრივსმა ერთხელ კიდევ მიიქცია საყოველთაო ყურადღება. იგი ახლა კლუბ „ვესტ-ჰემ იუნაიტედში“ გამოდის და ინგლისის ჩემპიონატების საიუბილეო, მე-500 მატჩში 351-ე გოლი გაიტანა.

გალიჩი ბრუნდება

როგორც ზაგრების გაზეთი „სპორტსკე ნოვოსტი“ იუწყება, ცნობილი იუგოსლაველი თავდამსხმელი, ევროპის ნაკრების მოთამაშე მ. გალიჩი ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ სამშობლოში ბრუნდება.

გალიჩი ოდესღაც ბელგრადის „პარტიზანსა“ და იუგოსლავიის ნაკრებში გამოდიოდა, შემდეგ ლიეჟის „სტანდარდში“ გადავიდა, იქიდან — „რეიმსში“.

ამ დღეებში გალიჩმა განაცხადა, რომ ბრუნდება სამშობლოში და ითამაშებს ზაგრების „დინამოში“.

ბალკანეთის თასი

1971 წლიდან საფუძველი ჩაეყრება ახალ საერთაშორისო შეჯიბრებას — ბალკანეთის თასს ფეხბურთში ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. მასში მონაწილეობას მიიღებენ ბულგარეთის, იუგოსლავიის, რუმინეთის, თურქეთისა და საბერძნეთის გუნდები.

პირველი ტურნირი გაიმართება საბერძნეთში 1971 წლის დეკემბერში.

სპორტული ენის კულტურა

პოლონეთის სპორტული ჟურნალის „სპორტოვეცის“ ფურცლებზე ამ რამდენიმე ხნის წინ დაიბეჭდა წერილი სათაურით „სპორტული ენის კულტურა“. წერილის ავტორს მ. გჟეშჩაკს მოჰყავს ნაწყვეტი ცნობილი სპორტული მოღვაწის იან ოჟდინსკის წიგნიდან. ამ უკანასკნელმა დათვალა, რომ სპორტულ ენაში საერთოდ 2 ათასი სიტყვა იხმარება, საიდანაც ათასი უცხოურია. აქ გვხვდება ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, სკანდინავიური, იაპონური, ლათინური, ბერძნული სიტყვები.

სპორტსმენთა, სპორტის სპეციალისტთა და სპორტის მოყვარულთა მრავალმილიონიანი არმია ისე იყენებს ამ სიტყვებს, რომ ზოგჯერ არც იცის, რომელ ენას ეკუთვნიან ისინი. ამიტომ წარმოთქმისას ამახინჯებენ კიდეც მათ.

მეორე მხრივ, ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა სპორტის ყველა სახეობის ტერმინები 2 ათას სიტყვაში მოვაქციოთ? საკმარისი რაოდენობით გვაქვს თუ არა სიტყვები, რათა სრულად გადმოვცეთ სპორტული მოვლენები, მათი მრავალფეროვნება? ავტორი დაასკვნის, რომ საამისოდ სიტყვები არ კმარა.

არადა, ამ სპორტულ ენაზე კომენტატორები ასპარეზობის მსვლელობას არჩევენ, რადიოთი და ტელევიზიით გადასცემენ. ახალგაზრდობა მათ უსმენს და ხშირად სპორტულ ჟარგონს ითვისებს.

ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდონ ენათმეცნიერებმა და სპორტის სხვადასხვა სახეობის სპეციალისტებმა. საჭიროა სპორტულ ტერმინებს შესატყვისები მოვუძებნოთ მშობლიურ ენაში. — ასეთია წიგნის ავტორის დასკვნა.

პოლონურიდან თარგმნა
ო. ზილბერვასერმა.



დუბლიორებთან

გთავაზობთ დუბლშემადგენლობათა ბოლო კვირის მატჩების შედეგებს:

ვეფ (რიგა) — რტი (მინსკი) 73:79, ასკ (რიგა) — ცსკა 73:70, „ჟალგირისი“ (კაუნასი) — ასკ (კიევი) 96:81, „სტროიტელი“ (კიევი) — რტი (მინსკი) 70:61, ვეფ (რიგა) — „დინამო“ (მოსკოვი) 87:94, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — ცსკა 67:55, ასკ (კიევი) — რტი (მინსკი) 71:59, ასკ (რიგა) — „დინამო“ (მოსკოვი) 73:74.

გათამაშების ცხრილი

დუბლშემადგენლობანი

მდგომარეობა 4 იანვრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (თბილისი)	8	7	1	636—557	7
„სტროიტელი“ (კიევი)	10	6	4	734—722	6
ცსკა	10	6	4	829—777	6
„კალევი“ (ტარტუ)	10	5	5	863—941	5
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	9	5	4	710—721	5
„დინამო“ (მოსკოვი)	10	5	5	747—761	5
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	11	5	6	815—837	5
ასკ (რიგა)	9	4	5	647—635	4
რტი (მინსკი)	11	4	7	796—827	4
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	9	4	5	725—717	4
ასკ (კიევი)	10	4	6	709—772	4
ვეფ (რიგა)	9	3	6	687—731	3

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

მატჩები იანვარში

გთავაზობთ უმაღლესი ლიგის კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის იანვრის კალენდარს.

7. ცსკა — „დინამო“ (თბილისი), „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი), „კალევი“ (ტარტუ) — ასკ (რიგა), ასკ (კიევი) — ვეფ (რიგა).

II წრე

10. რტი (მინსკი) — ცსკა.

11. „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „დინამო“ (თბილისი). I წრის გამოტოვებული შეხვედრა.

20. „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი).

24. ასკ (კიევი) — „სტროიტელი“ (კიევი), ვეფ (რიგა) — ასკ (რიგა), „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „კალევი“ (ტარტუ).

25. „სპარტაკი“ (ლენინგრადი)— რტი (მინსკი), „ბურევესტნიკი“ (თბილისი)—„დინამო“ (თბილისი), „დინამო“ (მოსკოვი) — ცსკა.

27. ვეფ (რიგა) — „კალევი“ (ტარტუ).

28. „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „დინამო“ (მოსკოვი), ასკ (რიგა)— რტი (მინსკი), ასკ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი).

30. ასკ (რიგა) — „კალევი“ (ტარტუ).

31. ვეფ (რიგა) — ცსკა, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი), „ჟალგირისი“ (კაუნასი) — რტი (მინსკი), „სტროიტელი“ (კიევი)— „დინამო“ (თბილისი).



ჭადრაკის ამბები

ემენი. აქ დამთავრდა ქალთა საერთაშორისო ტურნირი. I-II ადგილები 5-5 ქულით გაიყვეს ლიტმანოვიჩმა (პოლონეთი) და კარაკაშნემ (უნგრეთი).

ნიში. იუგოსლავიის ამ ქალაქში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი. 11 შესაძლებლიდან 8,5 ქულით I ადგილზეა საერთაშორისო ოსტატი კვინტეროსი (არგენტინა).

ვრბასი (იუგოსლავია). აქ გაიმართა საერთაშორისო ტურნირი 16 დიდოსტატისა და ოსტატის მონაწილეობით. 12,5 ქულით თვითეულმა I-III ადგილები გაიყვეს დიდოსტატმა პარმამ (იუგოსლავია), საერთაშორისო ოსტატმა ფლეშმა (უნგრეთი) და ოსტატმა დეჟემ (იუგოსლავია).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 02709